

თეატრი



საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატკვრობითი გაზეთი.

23 თებერვალს

გ ა მ ო ი ც ე მ ა

№ 8

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მანკით, ნახევარ წლით სამი (3) მანკით, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-ს დღის სამი შაჟრი. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატკვრობითი გაზეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მერტე)

პროგრამა და სიერცე ვაზეთი, „თეატრი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირბობით

ფასი „თეატრი“-სა: წლით რეგარც ქაჯაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის დღის სუთი (5) მანკით, ნახევარის წლით—სამი (3) მანკით. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

აწმყო 1886 წლიდან აქაქი წარმთელი დამოუკიდებელ მოწერალებას მიიღებს.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; აღრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

მართული თეატრი.

მაცს სიცოცხლეზედ უუძვირფასესი საგანი არა აქეს რა, რომელიც განუწყვეტლივ მხოლოდ იმისთვის იღვწის, რომ რამდონათაც კი შესაძლებელია გაუმჯობესოს და განაგრძოს იმის არსებობა; თუმცა თვითონაც ვერ მიუცია თავის თავისთვის ანგარიში და პასუხი.

მხლანდელ დროში ხარბის სიყვარულით გვინდა შევეხვით წარსულს ცხოვრებას და წინაპართა სახელთ, თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით იმისთანა საზოგადო მოღვაწენი არა გვეყვანან, რომ ნათლად გარ-

მოგვეცნ, საქართველოს წარსული ცხოვრება, რომელიც აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. მხოლოდ განსვენებულმა რომანისტმა ჩხეილოვმა გაგვაცნო ერთს ისტორიულს ეპოქასთან, რომელიც მეცამეტე საუკუნოს დასაწყის ეხება, როდესაც ლაშა ბიორგი მეფობდა და სპარსელები საქართველოს თავზარსა სცემდნ. ეს რომანი გავლავთ „თამარ ბატონიშვილი“ მეტად ხელოვნურათ დაწერილი და ისტორიულს სინამდვილესაც დაახლოვებულია, მაგრამ მ. ვადმომკეთებელი სუსტი გამოჩნდა და სადაც უფრო შეიძლებოდა, რომ ღირსეულად დაეუკავებინათ იმის თხზულება, ა. მესხიმ სწორეთ იქ დაამხინჯა. ა. ზესხიმ

თავის ფერი დასდო, გადმოაკეთა ხუთს მოქმედებთან დრამათ, რომელსაც რომანისავე სახელი უწოდა: «თამარ ბატონიშვილი». ამ პიესაში დრამატიულს კანონებს დასტოვებდა არა ეხდებოდა; თუმცა სცენაზედ განუსაზღვრელად იტანჯებინა: მლიზბარ მრისთავი, ამისი შვილი შალვა, თამარი, მაგრამ დრამის დაწერისათვის ეს პირობანი საკმარისი არ არიან, რადგანაც იმას თავის კანონები აქვს და თუ დრამატიული მწერალი ამ ჩარჩოს გარეთ გავა, მაშინ იმ თხზულებას სრულიად ეკარგება თავის დანიშნულებანი, ღირსებანი. ამ დრამის დაწერაში უფრო კ მესხის ფანტაზიას უმუშავებია და არა ისტორიულს ფაქტებს და დრამატიულს ხელოვნებასა, თუმცა კი ამ პიესას, ჩვენს ღარიბს რეპერტუარში არა მცირედი ადგილი უჭირავს, ყოველ წლივ ორჯელ სამჯერ თამაშობენ და საზოგადოებაც დაესწრობა ხოლმე, მაგრამ ამის მიზეზი, ჩვენის აზრით ის არის, რომ მაცქერალნი სცენაზედ ხედავენ თავიანთ წინაპართა სახეს სრულის მორთულობით, რომლის მოგონებაზედაც გული ბოლომდით ეხებათ, ავანდებთ ყოველივე წარსული ცხოვრება და ეს მცირედი ტანჯვა-სიამოვნება უქარებებს ტანჯულს სენს და კავშანსა; აი ამიტომ იზიდავს ეს პიესა საზოგადოებას, რომ ისტორიულია, თუმცა კი სუსტი და თეატრალურს ხელოვნებას მოკლებულია...

ზემოხსენებული დრამა „თამარ ბატონიშვილი“ კვირას ქართულმა დასმა ითამაშა და უნდა გამოტეხილთ ვითხრათ, სწორეთ, უთაურობა დაამტკიცეს. საკურველია ღმერთმანი, რით ვერ გამოწონეს ზოგიერთმა ჩვენმა არტისტებმა თავიანთ ძალღონე! ნუ თუ მლიზბარ მრისთავის მოთამაშემ ა. მოხევემ ვერ გაიგო, რომ ამ როლის თამაშობა არ შეუძლიან, რადგანაც იგი დიდს არტისტიულს ნიქს და სცენიკურს ხელოვნებას ითხოვს, რომელსაც ჩვენდასამწუხაროდ დიდ მანძილზე დაშორებული; მართალია ა. მოხევეს გრძობას ვერ წაფართმევთ, მაგრამ ეგ საკმარისი არ არის ამ როლის შესასრულებლად და საზოგადოების ესტეტიკური გრძობის დასაკმაყოფილებლათ. ა. მოხევეს თავის როლები აქვს, რომლებსაც სრულიად ხელოვნურათ თამაშობს, მაგრამ ამის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ...

3. ალექ.-მესხიევი შალვას როლში გულ-გრილობა ეტყობოდა, არც ერთს მგრძობიერს სიტყვას თავის შესაფერი სახის გამომეტყველობა არ მოსდევდა და ის შინაგანი სულის მღვლეარება, რომელშიაც ახალგაზნა მიჯნური შალვაა. არ ვიცით იმ მიზეზის გამო მოუვიდა, რომ 3. მელიქიშვილისა თამარის მაგიერ ვილაცა ძიძას როლსა თამაშობდა და ხშირად

რამოდენივე ხანი უცდიდა, 3. ალექ.-მესხიევი ვიღარემდის ის ლაპარაკს დაიწყებდა, რომელიც კანტი-კუნტათ ისროდა თითო სიტყვას.

4. ცაგარელმა სრულიად ვერ დახატა ლაბა ბიორგის ხასიათი; იმას არ ეტყობოდა მეფური ღიღება, მიხერა-მოხერა, დაზბაისლური მსჯელობა და როლიც სუსტათ იცოდა.

5. ანდრონიკაშვილისამ მშვენიერათ ითამაშა რუსუდანის როლი; საერთოთ უნდა შევნიშნოთ, რომ კარგათ ასრულებს მაღალი წოდების საზოგადოების ხასიათის როლებს, განსაკუთრებით არგინალურს ისტორიულს პიესებში...

მოდველ „ონიზაში“ ყველა მომქმედნი პირნი თავთავიანთ ადგილას იყენენ და სრულის სინამდვილით წარმოიდგინეს, ისე რომ ამ სამმა პირმა. მ. საფ.-აბაშიძისამ, 3. აბაშიძემ და ნ. საბუეღმა სრულიად დააკმაყოფილეს საზოგადოების ესტეტიკური გრძობა, თავიანთ ცოცხალის და ხელოვნურის თამაშობით. რაც „თამარ ბატონიშვილში“ მაცქერალთ იოხრეს და უკმაყოფილება აცხადეს, ამ ვოდველში ორი იმოდონა იცინეს და ისიამოვნეს...



ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

მე, თუ ჩვენ? შენ თუ თქვენ?

შენ, შენ! შენ? თუ მე?
მე, თუ შენ?

მსწრაფლ დაგვიკვლო მომტირ:ლი სოფელმან! >
ვრთი ძველი მუხამაზის გუშა.

იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ენლა საზოგადოდ ლიტერატურა არის ჩავარდნილი და განსაკუთრებით ჩიენი,—საყოველ დღეო გაზეთისათვის ერთს უძნელესს საგანს შეადგენს, ესრედ წოდებულს, შინაურს კითხვებზედ ანუ საქმეებზედ ბაასი. მეროპის პოლიტიკის და იქაური სახელმწიფოთა შინაურს საქმეთა სფეროში ნავარდობა,—ლიბერალი გლადსტონის მმართველობის კვალად მოწოდების აღტაცებით მიგებება და მისი მოადგილის, კონსერვატორთა მეთაურის, სალსბრის შეტუქესვით და კიჟინით ვაცილვება ადვილიც არის და სასახლოცა.—მჰ, ეჰ, ბეჩაე ბიქო!—განცვიფრებული წამოიძახებს რომელიმე ლუარსაბი, რომელიც ქართულს გაზეთში თამამ მსჯელობას წაიკითხავს მეროპის გამოჩენილს კაცებზედ

სიტონსლე, სსვისთვის ნათელი,
ჩემთვის შავი და ბნელია...

დედა მომიკვდა ზატარას
და მარტოდ დავრჩი ობლადა;
დედინაცვალმა გამგდო,
აღარ მიმიშვა სოფელა.

წაკეღ... საღატე გავედი,
სადაც გადავდგი ფეხია,
იქ დამხვდა მწარე ნაღველი
თავში დამეტა მესია!..

რომ ვისმე გაჭირვებაში,
ძმურად მოეცა სელაია,—
არ მასსოვს სწორედ იმ დღიდგან,
რაც თვალს ამისელაია.

სადაც მივსულვარ, ძალ-ღონე
ვისთვისაც შემიღვევია,—
იმისგან სავსე ფილას
ნაღველი დამიღვევია!

ბათალმანს დავდივარ,
დედ დამეთ ჩამხელებია,
ჩემს ადგილს მევე უნდა ვარ
და კერა ჩამხელებია!..

დავსუსტდი, ღონე მომაკვდა
სიტონსლე გამჭირვებაში;
ამ ტილს წუთის სოფელში,
ერთსელ არ გამხარება!..

III

ჩამს მემოვარებს

ბიჭავ!.. რადა გშურს სწორისთვის
სიკეთე, შარში სულაია?
ვინც სწორსა ჭკიცსავს ტყუილად,
წრეს იქით გადასულაია;
სსვისთვის გათხრილი სამარე
მისთვისვე შესასულაია!..

ა. მანსუბარიძე

* *

(ვუძღვნე ჩ. ს. ა—ს.)

სიყვარულა რა გმნობა სარ ესდენ ფრიად უცნაური?
ცამან შეგქმნა, თუ ქვესენელმა, ან ძალი გაქვს სადაური?
შენ ჭგერი გაცხა ნეტარებას, სიტგობსა და ნაწ გმნობა—
ბათა,

სათავე სარ ზოეხიის, ჩარხი ბედნიერობათა!
ეშის ჯაჭვით ორის არხის აბამ გულს და სიტონსლესა,
სისარულსა მათ უზღვავებ, ბადაც ასმევე მწუწრავლესა!
თვით სამოთხეს ქვეყნად აჩენ, მოკვდავს უგზნებ უკვდავ
აღსა,

შენგან უდგამს წენარ სულს ქალი ერმას და ერმა კი,
ქალსა!

სიყვარულა რა გმნობა სარ, ესდენ ფრიად უცნაური?
ცამან შეგქმნა, თუ ქვესენელმა, ან ძალი გაქვს სადაური?
სიტგობებით სვეს უმწარებ გაცხ, მსეში აბამ მტრულად,
ნეტარებას გავებდ ქმნი ნაწ-გმნობათა-ბედის გრუვავად;
სისარულის ზღვას ტბად ქმნი შსამის, გესლის ნაღვე-
ლისა,
და მას ასმევე ბადაც შემდეგ ტრფივალბით მწუწრავლესა!
ან რად ატგობ, და თუ ატგობ გაცხ, რად უწყლავ დარ-
დით გულსა?...
რაც უნდ იყო სიყვარულა, შემოგწირავ მანც სულსა!..

ჯავ-ვინტარას.

ამელ დროს ცირაში წარმოღვინა რომში

მართლაც და სულლას პირის სახე შესაზარი ჰქონ-
და, არამც თუ იმის ჰარმონიული და სწორე ხაზიანი
პირის სახე ლამაზობას მოკლებული იყო, არამედ გა-
დაშლილი შუბლი, არწივისებრივი ცხვირი და ლო-
მებრივი ნეშტოები, რაოდენადვე მოდილო ბრძანებ-
ლობას მოყვარული ტუჩები კაცს ადვილად ათქმეი-
ნებდენ იმის სილამაზეს, მით უფრო, რომ მისი მშვე-
ნიერება ბოლოვდებოდა ხუჭუჭი ოქროს ფერის დალა-
ლებით, რომელიც გრძლათ და მელიდურათ ბეჭებამ-
დინ სწვდებოდა და ლურჯი თვალეში მეტად აცხოვ-
ლებდა იმის სახეს, მაგრამ საკვირველი თვისება ჰქონ-
დით ამ თვალებს: ხან-დის-ხან ცოცხალნი, ჩაფიქრე-
ბულნი, შთამბეჭოელნი, ერთბაშით გარეგანნი, მკვ
მორყულნი, შეუბრალებელნი, უფლების მოყვარული,
რომელსაც ყოველს მოძრაობაზედ ან სისხლის დაღ-

*) იხილე „თეატრი“ № 7.

პოსტოლო ამოხელებს უპრალლამა მიამათონ ფურცლებს, რადგანაც შეცდომით აირივნენ.

და საზოგადო პოლიტიკაზედ. — თურმე, რომ ჩვენ-
შიაცა ყოველიან გოგრიანი ბიჭები. შენმა მხემ, ე
ვიდაც საღისბერაა, თუ ბისმარკი, სულ ზურგზედ
მტვერი ადღინეს! მ კუთა ხომ კაი საქონელია, მაგ-
რამ კუთასთან გაბედულობაც უნდა და... მს მუდრე-
გი, ისეთი დრო ჩამოგვივარდა, რომ ემ წუწუყ ლა-
ზარესაც ვეღარ გავჯავრებია და, შეხედეთ, ერთი,
თქვენი ჭარმე, ამ ხელმწიფის ტოლ კაცებს რა რიგად
სტუქსავენ!.. რასაკერელოა, ლუარსაბის გონება იქამ-
დენ ვერ მისწვდება, რომ ბისმარკის შეტუქესვა ათი-
ათასჯერ აღვილია ქართულის მწერლისათვის, მანამ
მისი მეურნეობის და საოჯახო საქმეების არეულ-და-
რეულობის მიზეზებს გამოცნობა და გამოკვლევა.
მრთხელ ვსთქვით და ჩვენს მოწინააღმდეგე ბანაკში
არაფრად ეჭაწნიკად, — და კიდევ ვიმეორებთ, რომ
მტკნარი სიცრუეცა, საკუთარის გონებითი უქლოურე-
ბის და უნიკობის დასაფარავად გამოგონებული, —
ერთამც ესლა ქართულს მწერლობაში შინაურ საქ-
მეებზედ იმის მეტის, სხვა არასურის თქმა არ შეიძ-
ლებოდეს, რომ „მუხას ვაშლი ისხაია“ (იხ. «ივე-
რია» № 16). ადგილობრივი რუსული გაზეთები,
მაგ. „Новое Обозрение“, ესლა ყველამ იცის რომ
უფრო სასტიკ პირობებშია ჩაყენებული, მინამ „ივე-
რია“, მაგრამ რა მიზეზია, რომ ეს რუსული გაზეთი,
შედარებით, უფრო ბევრის თქმას ახერხებს ჩვენს სა-
კუთარს საქმეებზედ? ჩვენის ლიტერატურის ისტორია-
ში შეურყვევლ ფაქტად უნდა იყოს აღვიარებული,
რომ ქართულს ყურნალ-გაზეთებს მაშინ ეტყობოდა
ფერი და სიცხოვეც, როდესაც მისს მეთაურად იდგა
ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტი ბ. ნიკოლაძე. მაგრამ
ძლიერი ნიჭის ზედ გავლენა, მულამ მის ჩრდილს ქვეშ
ყოფნა ვეღარ აიტანა უნიკოთა გუნდმა, აუტყდა, აუ-
ღაველდა, ქართულის ლიტერატურის ასპარეზიდან
გაძევეს და ბურთი და მოედანი დაინარჩუმეს მათ, ეი-
საც ჩვენს ლიტერატურაში სხვა სახელი არ შეგვიძ-
ლიან ვუწოდოთ, გარდა მეგლანეებისა და ფინანებისა.
მსეც ხომ უტყუარი ფაქტია, რომ ბ. ნიკოლაძის მო-
წინააღმდეგეობამ ადგილობრივს რუსულს მწეულობაში,
რამდენადაც ქართულს დააკლო ფხა და ფერი, იმდ-
ნად უკანასკნელს მოუმატა. განსვენებულს „Тифлис-
ский Вѣстник“-ს მაშინ დაეტყო სიცოცხლე, როდეს-
აც ნიკოლაძის მკვირცხლმა კალამმა თვისი ცხოვე-
ლი ძალა ჩააწვთა. „Тифлисский Вѣстник“-თან და
„Обзоръ“-თან „ღრობაც“ გამოდიოდა და „ივე-
რიაც“, მაგრამ, ესრედ წოდებული, ქართული ინტე-
ლიგენცია უფრო პირველებს გაფაციცებით აღვენებდა
თვალ-ყურსა, ვიდრე უკანასკნელებს. რა იყო ამისი
მიზეზი? მწერლობის ლალატი? სრულიადც არა. მი-

ზენი ის გახლდათ, ჩემო ბატონო, რომ მათ მოთა-
ვეთ შეიქმნა ჩვენის ლიტერატურის ყვეთა გუნდთა-
გან განძევეული მიმინო და თუმცა ბევრს ცდილობ-
დენ მთლად შეერიგებინათ ახალგაზრდობისთვის ეს
„მწერლობის მოლალატე და ჯაშუში“, მაგრამ ძალას
ის მომხიბლავი თვისება აქვს, რომ რაც უნდა ფეხი
იბოძიგო და არა, არა იძახო. მაინც ძალა-უნებუ-
რად ჩავითრეც. ბ. ნიკოლაძის მეტოქეთ ჩვენს ლი-
ტერატურაში, როგორც უწოდებენ მისი მრავალნი
თაყვანის მცემელნი, «ენიანი ილია» ითვლება და
არის კიდევ. მართო ის გავლენა რომ ნიკოლაძემ,
ფიცხელი შეტაკების შემდეგ, ბოძოლის ველი მთლად
ილიას დაუტევა და თითონ შორს გარდისხეწა ამ
უკანასკნელის მოთაყვანეთა გუნდს საკმაოდ მიანია,
რომ ნიკოლაძე მთლად დამარცხებულად და, მასა-
დამე, სუსტად ჩასთვალოს მაგრამ, მერწმუნეთ, ღარ-
ვინის სწავლა ამისთანა მოვლენის ასაღსნელად და
გასაგებად გამოუსადგვარია, როგორც ცეცხლის გა-
საქრობად ნავთი ინგლისის პირველს მინისტრს
ზლადსტონს, აშანტის მბრძანებელი არამც თუ პირ-
ველი მინისტრის პორტფელს, ერთ თხასაც არ
მაბარებს. ნიკოლაძის, თითქმის ბ. წერეთლის
და სხვ. ჩვენის ქვეყნის საზოგადოებრივი ასპარეზიდან
ჩამოსვლის მიზეზი ორში ერთი უნდა იყვეს: ან ჩე-
ნი საზოგადოება იქამდენ განვითარებულია, რომ მათი
მსგავსი მეთაურები ვეღარ გაუძლევიან წინ მას, ან
ისინი ნადრევედ მოსულან ქვეყნად და პირველს ვერ
შეუძლია, მათი კვალში ჩადგომა და მხარ და-მხარ
მიყოლა. თქვენ რომელიც გინდათ აირჩიეთ და მეკი
ნამდვილად უფრო უკანასკნელი მიზეზი მიმანია, ამი-
ტამ რომ „ის ყოველად უმსგავსი და უნიკო ნიკო-
ლაძე“ (იხ. ანტ. ფურცელაძის ნაჯღაბები) ჩვენის
მწერთენელის და მასწავლებელი ერის დაწინაურებუ-
ლი დასის წრეში მეტად ნიჭიერად და ძლიერ კაცად
არის ცნობილი ღდეს. ბერნე ერთს ადგილს ამბობს:
როდესაც ბუნებასა ჰსურს ღიდი კაცი (великий че-
ловѣкъ) დასაჯოს, მაშინ იმას ან ადრე დაჰზადეს თა-
ვის შესაჯურს ებოქაზედ, ან გვიანო!

როდესაც შემთხვევას მოუტანია, ყოველთვის
გამოგვიცხადებია ჩვენი უმდაბლესი მორჩილება და
თაყვანის ცემა ბ. ილია ჭავჭავაძის პოეტური ძლიერი
ნიჭის წინაშე და ესლაც ვაცხადებთ, მხოლოდ მასს
პუბლიცისტურს ძღვრებას კი ვერ ვემორჩილებით,
თუმცა „ცხოვრება და კანონიც“ დასწერა და ესლა
„ივერის“ მკითხველების გასაოცრად, — ეს «შენ» და
«თქვენც», რომელმაც გამოიწვია ეს ჩემი სტატია.
ტყუილად არ არის ნათქვამი: ხერხი სჯობია ღონე-
სა, თუ კაცი მოგონებსაო. ჩემის ფიქრით, ძლიერი

მთი ახლოს იმ ადგილს


მარტო ის კი არ არის, ვინც თვისი ძალის უაღრესობას ყოველ დღე და ყოველს ჟამს საქმით ამტკიცებს, თითქმის ის უფრო ძლიერია, ვინც თავის სისუსტეს ხერხიანად ჰფარავს. ამ შემთხვევაში ბ. ილ. ჭავჭავაძეს ჩვენში თითქმის არავინ შეედრება. თვისი პუბლიცისტური სისუსტის დასაფარავად „ივერიის“ რედაქტორმა თავის ბედკრულს მკითხველებს ერთი ისეთი მოუწონებელი ფილოსოფიის, ხშირად გამოცხვარი ტრაქტატი დაახეთქა თავზე, რომ კიდევ დადხანს ივლიან დარეტიანებულნი და გაბრუებულნი, მაგრამ ვერ მიჰხედებიან «რა უთქვამს, რა მოუწმინახეს, რა წიგნი მოუწერია» მათს სათაყვანო კერასა.

ბ. ჭავჭავაძის ახალი მოძღვრება, გადაჭიმული «ივერიის» ოთხს ნომერში: მე 15, მე 16, მე 17 და მე 19-ში» ფარფორის ტიკინსა ჰგავს, რომელიც, როდესაც წინიღამ უყურებ, სრული არსება გგონია. ან კი რა აკლია?—მოხდენილი ცხვირი, სწორე და მაღალი შუბლი, ყუყუნა ლურჯი თვალები, გადაქცევილი ლოყები, კაპწია ნიკაპი, ფართო და მაღალი მკერდი და სხ. და სხ. მაგრამ აბა ესლა ზურგიღამ შეჰხედე და მაშინ მიჰხედები თვალთ-მაქცობას: თურმე, ნუ იტყვი, მთლად ფულურო და ცარიელი ყოფილა ეს, ერთის შესწევით სრული არსება. ბევრი სთქვა, იმ ნაირად სთქვა, რომ გონებით უმარილო და სულით უმანკო შენი მკითხველი დააჯგრო, რომ შენი მუღამ ყოველი მოწყვეტილი სიტყვა ობოლი მარგალიტის მარცვალაია,—და ნამდვილად კი არაფერი არა სთქვა-რა, ესეც ერთი ღირსება ერთ მხრივ ნაგეში გონებისა, თუმც ამისთანა ღირსება არასფერს სანატრელს არ შეიცავს. ყველაფერი შეუძლიანთ შემწამონ ჩემმა მტრებმა,—მაგრამ იმას კი ვერ შემწამებენ, რომ წაკითხულის გაგება არ შემძღვლოს. არამც თუ რუსეთში, თვით მეროპაშიაც დღეს შეხედრინებულ მოხერხებულნი მწერალი არავინ არის, მაგრამ იმის, ოინბაზურად დაწერილს თხზულებებშიაც ჯერ არა გამომპარავია-რა, მაგრამ „კნიაზი ილიას“ „ივერიის“ ოთხ ნომერში გადაჭიმულს ფილოსოფიას კი მე აზრი ვერ ვუბოვებ. Все подается определению, кроме глупости! —სთქვა ერთმა კვიანმა კაცმა. („ივერიის“ რედაქციისათვის მიმინდვია ეს ქართულად გადათარგმონ და «დამაკვირდიში» მოაკციონ. ურიგო არ იქნებოდა, მართლა, შეგვეტყო ეს „დამაკვირდი“ რას ნიშნავს? მს ქართული ზმნის ფორმა იმას თხოულობს, რომ იქ მოქცეულის აზრების მთარგმნელის სიღამაზეს და ვაჟაკობას დააკვირდეს მკითხველი, თუ თვით აზრების სიღრმეს და სიკეკლეუცესს? ავტორი იწყობს ბოდიშით თვისი მკითხველების წინაშე, რომ „ივერია“ აქამდე თითქმის სულ გარეშე ქვეყნების საქმეებზედ

ლაპარაკობს და შინაურს ვარამს კი ყურს არ უგდებს. რასაკერძოდა საყვედური მკითხველი საზოგადოებისაგან აქ ადვილი მოსალოდნელია და აი, ამ საყვედურის ასაცილებლად აჩაჩქნილა დარბაისელი ავტორი ოთხის მოწინავე, ანუ როგორც თითონ უწოდებენ, მეთაური წერილისა. თურმე თავი და თავი მიზეზი „ივერიის“ ხმის ამოუღებლობისა „შინაური საქმეთა გამო“ ისეც და ისეცის ხელზედ დასახვევი, რალაც «რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზი» ყოფილა. საცოდავი მდგომარეობაა, ლეთის წინაშე! ჩემი პირველი და უკანასკნელი ნატვრა ის არის, რომ იმ დღეს დამასწროს, როდესაც შემდეგი ბრძანება გამოსულიყოს: ერთის კვირით ყველა ის გარეშე მიზეზები, რომლებზედაც მუღამი სჩივიან, ნამეტნავად ქართული მწერალი, გაუქმებულნი არიან და მათ სრული უფლება ეძლევათ ბეჭდვით გამოთქვან ყველა თავიანთი დაგუბებული აზრები და სრული ჭკუის ძალა გამოიჩინონ. «**მკ**, აბა მაშინ დაინახავდა ქვეყანა ჩვენის ჭკუის მთელს სიუქლურეს და სიღატაკეს! მაშინ გამოჩნდებოდა, მთიულისა არ იყოს, ვინ ხარი იქმნებოდა და ვინ ფური!

დავით სოსლანი.

(შემდეგი იქნება)



მოსხმის სიმღერები

I

გული ადშოფთადა, ტანკული,
სტეჟს და სტეჟს გლოვის წასსაო;
ნისლს ისევეს, ძალზედ ჩ ბეკლდა;
ძოსულა აბეწასსაო...

მეღან გუქლო ტიამს,
ცხოვრებს შესწასსაო!

კი იღას კასტ *ქუჩი მკერდით*
II *საყუდლი*

გულის პასუხი

გულა! მკადანი ნადგული
ნეტა სად მოგისკლია?
ან ურთულ შენი ანაჟი,
რად აწსად გაგიმსკლია?

გულმა სთქვა:—ჩემი ნადგული,
სათქმელად მკტად მხელია...

ქუჩი მკერდით
საყუდლი
მკ

მკ
მკ

რის ან ბრძანებლობის წადილი დაეტყობოდა, შეიქმნებოდა. როდესაც აზიში მიტრიდატს ეომებოდა, ჰქვითა ამორჩეული იქნა ძავადოკის მეფის პრიობარცორნის და პარტენის მეფის შორის მოსარიგებლათ; ჰარფიანის მეფეს მაგიერათ ორებანი გაგზავნა; თუშუცა მაშინ სულლა პროკონსელი იყო, მაგრამ როდესაც სამჯავროში მოვიდა, სადაც სამი ადგილი იყო მომზადებული, იგი წარსდგა სრული რომაელის ამაცობით და ჩაჯდა შუა ალაგში, მარჯენიე მოისო ორობაში, მარცხნიე კი პრიობოცარი. ამ ნაირი ქცევით ძალიან შეურაცყოფილი იყო, ისე რომ ორობაში სიკვდილით დაისაჯა.

ორობასის ამაღაში ვილაც განთქმული მკითხავი ძონცი-დესი იყო, რომელიც პირის სახეზედ ატყობდა კაცის მომავალზედ — უბედობასა.

როდესაც სულლას პირის სახეზედ უკურებდა, ის სრულიად განცვიფრებული იყო, და უკვირდა რომ აქამდისინ, უპირველესობა როგორ ვერ დაიკავაო.

სულლას სურათი, რომელიც ჩვენ ავსწერეთ, სრულიად არ არის გამოხატული თავის საშინელებითა, ჩვენ მხოლოდ მცირეთ გავაცანით მკითხველს, თორემ ძალიან შორს წაგვიყვანს, თუ ისრე დაეხატეთ, თავის თვისებებით, როგორათაც ის არის შემკული.

თქვენ წარმოიდგინეთ, თუ სულლა სიკაბუკის დროს ესეთი საზარელი სახისა და შეხედულობისა იყო მოხუცობისას რაღა იქნებოდა, როდესაც თან-დათან ხდებოდა და იმისთანა საზიზღარ საქმეებს სჩადიოდა, რომელნიც წარმოსადგენათაც კი ცუდია, ისე რომ ბოლოს სრულიად დაუღაქავდა პირის სახე და მუწუხების და დაჭროლობებით აევსო. ტან საცმელიც თავის შესაფერი ეცო. როდესაც ხალხი ტანს უკრავდა სულლას რაღაც პირზედ ღიმილი მოუვიდა და წაიდუღუნა:

ლაუკარით ტაში, დაუკარით! აი, ძონსულეგმა ანიშნეს, რომ წარმოდგენა დაეწყოთ და ასამდისინ გლაღიატორები გამოვიდენ მოედანზედ.

გლაღიატორებს წინ მიუძღოდენ რეციერი და მირმილონი, რომელთაც პირველად უნდა დაეწყოთ ბრძოლა, თუშუცა ის წუთი მოახლოვებული იყო, როდესაც ერთმანეთისთვის უნდა შეეკლათ თავი, მაგრამ ისინი კი გულ-გრილად მიდიოდენ ერთათ მუსაიფით. იმათ უკან მისდევდენ ცხრა ლაკიატორები, ფარებით და შვილდისტრით შეარაღებულნი. ამათ კიდევ მისდევდენ სხვა ცხრანი, რომელთანაც უნდა ებრძოლათ და ამათ იარაღს შეადგენდა: ფარი და ხმალი. ამ ცხრა წყვილს უკან მისდევდენ ოცდა ათო წყვილი გლაღიატორები, რომელთაც ერთმანეთთან უნდა ებრძო-

ლათ, ერთი ნახევარ პარტიას უწოდებდენ ჭრაკიელებს და მეორეს სანიტაშებს. ჭველა ესენი ლამაზი ქაბუკი იყენენ, წარმოსადგიე ტანისა, ღონიერი და ჰერკულესის აგებულებისა ჭრაკიელების იარაღს. შეადგენდა ხანჯალი, პატარა ფარი და აბჯარი. ამათ ეცოთ ნაციონალური ტანსაციმელი იმ ხალხისა, რომლიდგანაც მიიღეს თავიანთ წოდება და მხოლოდ განისხვავებოდენ წითელი მოკლე ჩოხებით და ორი შავი ფთებით, რომლებიც აბჯრებზედა ჰქონდათ გაცეთებული. მცდა-ათს სამნიტელელებსაც ნაციანალური ტანსაციმელი და იარაღი ჰქონდათ, რომელიც შეადგენდა: პატარა მოკლე ხანჯალი, ორ ფთოვანი აბჯარი რკინისა, ხელზედ გასაკეთებელი იარაღი, რომელსაც იკეთებდენ მარჯენიე, რადგანაც ფარი მარცხენა ხელით ეჭირათ... სანუტელების ტანსაციმელს შეადგენდა, ცის ფერი მოკლე ჩოხა და აბჯარზედ ორი თეთრი ფრთა.

ამ გლაღიატორებს უკან მოსდევდენ ოცი ანდობატები, რომელსაც ეცოთ პატარა მოკლე თეთრი ჩოხები და შეარაღებულნი იყენენ: მოკლე ხანჯლებით, რომლებიც უფრო დანებს წააგვანდენ. იმათ თავზედ ეხურათ აბჯრები, რომელიც პირის სახეზედ იყო ჩამოფარებული მხოლოდ თვალების ოდენათ გამოჭრილები იყო თვალისთვის, ისე რომ ეს ოცი საწყალი ძალ უნებლიეთ გამორეკილები მოედანზედ, რომლებიც ამ უგრძობელი ხალხის მსხვერპლი უნდა გამხდარიყენენ; შემდეგ ამ ცირკის მართველმა დააყენა კაცები მოიდანთანა და ბრძანება მისცა თივის მსახურებს, გახურებულის რკინით ეცემათ იმ საბრალო მონებისთვის და ისრე გავრეკათ ბრძოლის მოედანზედ ერთმანეთის სახოცველად. მს ამოდენა ხოტბო გლაღიატორებმა შემოუარეს გარშემო ცირკსა და ხალხიც დიდის ტანის კვრით ეგებებოდა და ბოლოს მივიდენ იმ ადგილს, სადაც სულლა იჯდა; გაჩერდენ ისინი და კანონიერი ინსტრუქციის ძალით, რომელიც ცირკის მართველისაგან აციონისაგანა ჰქონდათ მიცემული, ერთბაშათ, ერთხმეი დაიყვირეს:

— მაუმარჯოს, დიკატორს!

— არა უშავს რა კარგია, კარგი, უთხრა სულლამ თავის მხლებლებს, ეს ყმაწვილი, მარჯვე ქაბუკები დღეს კი სვირს გვაჩენებენ!

მაი, აციონს, თუ კარგათ არ გაუთავდა ეს თამაშობა! მაგ წყეულმა, ამ ას გლაღიატორში, ორას ოცი ათასი სესტერცია გამომართო.

როდესაც გლაღიატორებმა შემოუარეს ცირკს, გარეშემო მოვიდენ, კონსულებს სალამი მისცეს და შემდეგ თავ-თავიანთ ადგილს წავიდენ. ამ მხისგან გაპრწყინებულს, ელვარე მოედანზედ მხოლოდ ორი

კაცი და იღვა: მირმილიონი და რეცარი. ამ დროს სრული სიმშვიდე ჩამოვარდა მთელს ცირკში და თვალ გაშტერებულნი უტქერავდნენ ამ ორს მებრძოლ გლადიატორებს, რომლებიც ერთმანეთს შურის გებით უყურებდნენ და ცდილობდნენ ერთმანეთი ჩაეყლაპათ. რაღაცა საშინელი მღელვარებით იყო იმათი გული ავსილი, ზღვის ტალღებივითა სცემდა იმათ ტანში სისხლი. მირმილიონი შთამომავლობით ბალლი იყო. ის იყო წარმოსადეგი, მაღალი, მარჯვე, ლამაზი და აზოგანი; თავზედ ეხურა აბჯარი, რომელზედაც ეტრცხლის თევზი ჰქონდა გაკეთებული, ხელში ეჭირა ფარი და პატარა განიერი და მოკლე ხანჯალი. რეცარის იარაღს შეადგენდა შუბი, ფარი ტანსაცმელი მოკლე და უბრალო. მცნაბიჯზედ იცნენ დაშორებულნი ერთმანეთს და ფიქრობდნენ ალღევებულნი, თუ როგორ მივარდნოდნენ ერთმანეთს.

მირმილიონა ძირს იყო დაყრდომილი და მოელოდა მღელვარებით თავის მტერს.

შტბათ საშინლათ შეჰკიულა რეცარიმ და ზამოდენივე წუთის შემდეგ დაუბირდაპირდა მირმილიონს და როგორათაც ელევა ისეთის სიხმარით დაუშო საშინელი იარაღი. მირმილიონმა მარლად აიცილია იმის ხმალი და ძირს დედამიწაზედ დაიხარა, ისე რომ აიცილია და რეცარიამ რამწამს შეატყო, რომ ასცდოა, გაექცა.

შეარდენივით უკან გამოეკიდა მირმილიონი, უმაღს გარს შემოირბინეს მოედანი და იმ ადგილს მივიდნენ სადაც რეცარიას ხმალი დევარდა, როგორც მოასწრო თუ არა ხმლის ალება ამ დროს მირმალიონი დაუბირდაპირდა და ის იყო უნდა დაერტყა, რომ რეცარია გამოსხლტა ხელიდგან და მეორეთ დაარტყა, მაგრამ ყოჩაღმა მარმელანმა კიდევ აიცილია თავიდან, თავის მტრის მოქნეული იარაღი.

შმაღვე ფეხზედ იყო მირმილიონი და როდესაც რეცარიამ მოუქნია კიდევ აიცილა თავიდან ფარით.

რეცარია კიდევ გაიქცა. ხალხმა უკმაყოფილობა გამოაცხადა გლადიატორზედ, რომ როგორ გამოდის ბრძოლის მოედანზედ, თუ იარაღის ხმარებაც არ იცისო.

მირმილიონი იმ ადგილს დადგა სადაც უწინ ბრძოლა მოუხდათ და უკან აღარ გამოუდგა. მაშინ რეცარიამ გაიგო თავისი მტრის განძახვა და ნელ-ნელა გაეკრა კედელს და უკან დაიწყო წევა, სადაც მირმილიონი ელოდა იმას. აღლელებულმა ხალხმა დაიწყო ხმა მაღლივ ყვირილი.

— მე ბაყაყების დასაქერად გაგზავნე ანესონის მდინარეზედ! მე ღირსი არ არის მე მოედანზედ ბრძო-

ლისა!.. მირმელონი უფრო-და-უფრო გამხნედა ამ ხალხის ყვირილზედ და თან-დი-თან უახლოვებო თავის მტერს... თან-და-თან ეკარქებოდა ფერი, ყუთ-ლდებოდა და საშინელი მღელვარების ალმული ას-ლიოდა.

მირმილიონი მიუახლოვდა თავის მოპირდაპირეს ის იყო უნდა გაეგმირა იმის გული, ამ დროს რეცარიამ მიიფარა ფარი, მაგრამ სრულიად ვერ გადურჩა მტრის მახვილს და მარჯვენა მხარში დაიჭრა და თქრიალით სისხლი წავარდა. საშინელის სიმარლით გაიბინა ოცდაათი ნაბიჯი, მოუბრუნდა თავის მტერს და შეჰყვირა:

— არა უშავს რა ეს მცირედი ჭრილობა!

შემდეგ დამღერა საოხუნჯო, სახალხო სიმღერა.

ამ სიმღერამ ხალხი ალტაცებაში მოიყვანა. ამ თანაგრძობამ გაახალისა და გული გაიმაგრა. ზოგიერთმა ტაშიც დაუკრეს, რომ ამ კრიტიკულს წუთს, როდესაც სრულიად სისხლით იყო ავსილი და იარაღი მტერმა ახსნა მოახერხა ოხუნჯობა და მასხრობაო.

საშინლათ განრისხდა მირმედანო, რომ ხალხმა ტაში დაუკრა იმის მტერს და საშინელის მრისხანებით გაექანა იმისაკენ, მაგრამ კიდევ ერთგულმა ფარმა ააცილა რაცირს ეს დაკერაც და დაიწყო ხმა მაღლივ ყვირილი:

— მოდი, დამარტყი გალო, ნუ გეშინია დღეს შენთან ერთათ გავისტუმრებ მეგ მოხრაკულს თევზს, კეთილს ხარონთან.

ამ სიტყვებმა სრულიად ააღლევა ხალხი და დაუწყეს ტაშის კერა რეცარიას. ამაზედ უფრო ააღლედა მირმალიონი და საშინელის მრისხანებით გაექანა მტრისაკენა, მაგრამ ისე ხერხიანათ მიიფარა ფარი, რომ სრულიად შიგ გაეხვია მირლიამენი. ამაზედ უფრო-და-უფრო მოემატა ტაშის კერა და ხალხის თანაგრძნობა.

მირმელონი სცდილობდა, რომ როგორმე გამომსკრალიყო და თავი დაეხსნა ბადისაგან, მაგრამ თავისი მეცადინეობით უფრო-და-უფრო ეხვევოდა ეს მოქმედება მორმელიანისაგან ხალხში სიცილს იწვევდა. ამ დროს რეცარი გაიქცა მარცხის ასახებედ და მობრუნდა მარმელიონთან, ყვირილით:

— ღღეს ხარონი იშოვის თევზს, დღეს სარონი იშოვის თევზს!..

ამ სიტყვებით უნდა დაერტყა მტრისათვის, მაგრამ მირმელონმა დიდი ძალა და ღონე იხმარა და ბადე განია.

ხალხმა ტაშის კერა დაიწყო, რომელიც დიდის ააღლეებით უყურებდა ამ ორს მოჩხუბარს.

რამწამს განთავისუფლდა მერმილიონი იმწამსვე რეციერმა დაარტყა მძლავრი მარცხი, მაგრამ იმან ფარით აიცილნა. როდესაც რეციერიამ მაიქნა ხანჯალი მირმელონსა, მაშინვე მიაგება იმან ფარი, მაგრამ ნაქერ-ნაქერად დაიმსხვრა იგი და მარჯვე ხელში დაიჭრა მარმილიონი, ისე რომ წყაროსავით წავარდა სისხლი დაკრილობიდან. მაშინვე საშინელი ღელვარებით წამოავლო მარცხენა ხელი ხანჯალსა და მივარდა მტერსა, მარჯვენა თეძო სრულიად ჩაუკაფა. მამწარებული რეციერია გამოეშო მტრის ხელიდან და გაიქცა ისე რომ სრულიად შეღება მოედანი სისხლითა, მაგრამ ორმოცი ნაბიჯი გაიზბინა თუ არა დაეცა მუხლის თავზედ და შემდეგ ღონე მიხდილი დაეცა დედა მიწაზე. ისეთის ძლიერებით შამოუქნია თავის მტერს მირმელონმა ხანჯალი, რომ ვეღარ შეიმაგრა თავი და დაეცა ძირსა, იმისთვის მცირედი ძალა იყო საჭირო, რომ სრულიად მოეკლა თავის მოპირდაპირე მტერი; ამ უკანასკნელ ბრძოლაზედ ასტეხეს საშინელი ყვირილი და ტაშის კერა; ამ დროს მობრუნდა რეციერა და ხალხს აჩვენა თავისი მომაკვდავი პირის სახე. იმის პირის სახეზე ჩანდა უკანასკნელი სიცოცხლის სხივი, მხოლოდ ერთი უკანასკნელი საშუალება დარჩა რეციერსა, მიემართა ხალხისათვის, რომ ეჩუქებინათ, იმისთვის სიცოცხლე; რადგანაც ეს მთელს რომში მიღებული იყო, რომ ყოველ მომაკვდავს მიმართა ხალხისათვის და უკანასკნელი სიცოცხლის წვეთი მოეთხოვა.

მირმელონი ზედ აწვა თავის მტერს მუხლებით და ხელში ეჭირა ხანჯალი, ათვარიელებდა მაცქერალთ და მოელოდა იმათ გარდაწყვეტილებას.

90,000 კაცმა, ქალებმა და ბავშვებმა ჩამოუშვეს ცერი ძირსა; ეს სიკვდილის ნიშანი იყო, მხოლოდ 15,000 აიშვირეს მაჩვენებელი თითი, ეს ნიშანი იყო, რომ გლადიატორისათვის სიცოცხლე უნდა ეჩუქებინათ.

საკურველი ის იყო, რომ ამ 900,00 კაცს რომელთაც რეციერის სიკვდილი უნდოდათ ქალწულნი ქალებიც ერივნენ დიდს სიამოვნებას ხედავდნენ ამ საწყალი ბედკრულს გლადიატორის სიკვდილშია.

მირმილიონი მზათ იყო დაეცა რეციერისთვის ხანჯალი, მაგრამ იმან წასტაცა ხელიდან ხანჯალი და ტარამდის გულში დაიკა. მირმილონმა ამოიღო იმის გულიდან ხანჯალი და სისხლი წყაროსავით ამოსკდა იმის დაკოდლი გულიდან, რეციერმა მოიკრთა უკანასკნელი სიცოცხლის ძალა და დაიძხა მომაკვდავის ხმითა:

დაწვევლილი იყავით!..

ამ დროს დაეცა და დაიწყო ხრილი, განუტევა სული.

ი. კაგოელი.

პატარა ტასოს



დედა ტასო დილით აღრე,
მოგო უნდა ამისთანა!
ტანთ ჩაიცივა საჩქაროზედ
და ხელპირი დაიბანა!

ისაუზმა, და მის შემდეგ
სკოლისაკენ გაეჩქარა.
სწავლა უყვარს, ხედავთ, ტასოს,
მით დედ მამა გაახარა.

მიდის ტასო და გარემო
ხარობს, ჰყვავის მთა და ველი
დილა არის, მზე ამოდის,
ქვეყნად ნათლის მომფენელი.

ღმერთო, ღმერთო, ამ გეარ გოგოს,
წაუშართე სწავლის გზები!
აღწარდევი ქართველ ქალად,
ააშორე მას მოდნები!

ი. დ.

(დერმონტოვიდგან)

ოდეს ბიბინებს ოქროს ფრათა პური, მღელავი,
ამწვანებული ტყვეც ნიადათ შრიალეებს წყნარად,
და მოალისფრო იმალება ბაღში ქლიავი
ზურმუხტოვანის ფოთლის ჩრდილ ქვეშ საამოდ,
ტკბილად;

* *

ოდესაც ნამით გაწუწული, სუნნლოვანი,
სალამო ჟამსა, ანუ დილით, განსივებულსა,
ბუჩქებსა ქვეშე მე ზამბახი, ვერცხლ ფროვანი,
აღერსიანად მიწყებს ხოლომე თავის ქნევასა;

* *

Handwritten notes in red ink:
კვ. მ. მ. მ.
?

Handwritten note in red ink:
რ. მ. ს. კ. ი.

ოდესაც ღრეში ცივი წყარო რბის თამაშითა და, ფიქრ გართული რაღაც ნაირ ურკვევ ძილშიდა, მეჩურჩულება იღუმალთა რამ მოთხრობათა იმ მშვიდ ქვეყნებზე, საიღამაც თვით წარმოფრინდა;—

* *

მაშინ მშვიდდება სულისა ჩემის არეულება, მაშინ იბნევა ჩემის სახილგან დაღრევილება, მაშინ ვბოულობ ბედნიერებას ამ ქვეყნიერად, და მაშინ ვხედავ დაშბადებელსა მე ზეციურად.

გ. თარედი.

(წიგნი ანუ მხატვრობა)



შეშლილი სიყვარულისაგან *)

დრამა 5 მოქმედ. თსს. დონ-ქანუელ ტამისა და ბუხისის

სცენა III

აღდარა. მერე ღონ-ალგარი.

აღდარა. მიცი მე—რომ ქრისტიანი არ უნდა შემეყვარებინა. შენ სამართლიანად მჯი, ჩემი მამების უღმობებლო ღმერთო. იმაში რომ მოტყუებული ვიყო? რომ ვცდებოდე? მე მრავალ ჯერ შემინიწნავს იმაში დაღრევილობა, თუმცა კი მიზეზს ვერ მიმხედარეარ. ჩვენს გულებს რაღაც მკრთალი აჩრდილი აშორებს. მე ბევრჯელ მიფიქრია, რომ ეს ქალის აჩრდილია მეთქი და ახლა ამას დამტკიცება არ უნდა. როდესაც შეიტყო მეფის ტუდელლოში დაბრუნება—იგი რა აღტაცებაში იყო! როდესაც ციებამ გამოუღლია მას გონება, იგი სუ ბოღამდა: ის ტუდელლოშია, მე მისი ნახვა მინდაო! ჯერ კიდევ მორჩენილი არ იყო როდესაც იგი ტუდელლოში წავიდა. მინ არის ის ქალი? შექველია დედოფალს მოპყვებოდა. მე კი მჯეროდა, რომ შესაძლოა მე მას უყვარდევ მეთქი. აი ესაქ!..

ღონ ალგარი. (შემოდის, თავისთვის) როგორ გამოვარკვიო იგი ფიქრისაგან?

აღდარა. მადლობა ღმერთს—რომ დაბრუნდით.

ღონ ალგარი. თქვენ სწუხდით, რომ მე ასე დავიგვიანე? თქვენ გეგონებოდით მე გავერთეობოდი სადმე. მე მიხარია კიდევ როდესაც თქვენ ასე სწუხართ ჩემზე. თქვენ სიკვდილისაგან დამიხსენით.

აღდარა. ალგარ. . მე თქვენგან სიცოცხლეზე უფრო მეტი რამეთი ვარ დაველდებული.

ღონ ალგარი. ჩემი თქვენდამი მადლობა საუკუნოდ დარჩება.

აღდარა. მარტო ერთი მადლობა...

ღონ ალგარი. მითხარით მოვა ხომ ის რაინდი, რომელიც თქვენ გეარშიყებათ? მე ვხლა კარგათა ვარ და მოეთხოვ იმას—რომ თავს ნუ გაბეზრებს.

აღდარა. უნებე თავი იმ რაინდს და ნუც მე მატყუებ—რომ ვითომ შენ მე გიყვარვარ.

ღონ ალგარი. მერ მიმხედარეარ მე თქვენ სიტყვებს.

აღდარა. რამ მიგიზიდათ თქვენ ტუდელლოში?

ღონ ალგარი. ბანა მე არ გითხარით? მე მიწოდა და მენახა ჩემი ნათესავი აღმირალი ძასტილიისა.

აღდარა. და სხვა იმის მეტი არავინ გინახავს?

ღონ ალგარი. დედოფალიცა ენახე.

აღდარა. დედოფალი?!

ღონ ალგარი. რას გაიკვირეეთ?

აღდარა. ძარგია იგი?

ღონ ალგარი. როგორც სულით, ისე სხეულითაც იგი ანგელოზია.

აღდარა. თქვენ აზვიადებთ.

ღონ ალგარი. ჩემი ქება მცირედ გეჩვენებად, თქვენ თვითონ რომ იცნობდეთ მას. ის თავის მფარველობას დამპირდა.

აღდარა. ღირსიცა ხართ.

ღონ ალგარი. ხეალეე იმასთან ერთად ბურგოსში წასვლასა ეფიქრობ.

აღდარა. მითი დიდებულებანი ხეალ მიღიან?

ღონ ალგარი. ღიან, ხეალ.

აღდარა. მაშ მარტო დედოფალთან და აღმირალთან ილაპარაკე და სხვა არავისთან?

ღონ ალგარი. ღიან, მარტო იმითთან.

აღდარა. დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ ღონახუნა ქკუაზე შეიშალაო.

ღონ ალგარი. ტყუილია! ცილის წამებაა, რომელსაც მეფე ავრცელებს. იგი ცდილობს მის მოშორებას, დავიწყდება კი თუ ეს რა განძა მფლობელობს უღირსად. მაგრამ გეფიცები დიდებული სარდლის ხმალს, რომ ყოველი ძასტილიელი მზად არის უმხსვერპლოს თავი და დედოფალი დაიფაროს განსაცდელისაგან.

აღდარა. იგი შეაჩვენოს ღმერთმა.

ღონ ალგარი. მაგას რას ამბობთ!

აღდარა. თქვენ ცუდი ჰქენით, რომ მე იმისთანა ვინმე მიქვეით, რომელიც მე საშინლად მძულს!

*) იხილე «თეატრი» № 8.

დონ ალგარო. თქვენ ის გეჯავრებათ? დედოფალი? რისთვის?

ალგარო. ღა შენც თვალთ მაქცობ, რომ მითომ ეს არ იცი? ამ დედა-კაცმა ძალით რისათვის დაარღვია უფლებანი და დაიხემა დალიჯი, რომელიც ჩვენ ორივეს გვეკუთვნის? მს ცოტაა კიდევ მისი საშიზლარი ხარბობისათვის. ამაყი არწივი ზომავს თვალთ დედა-მიწას, ჰხედავს ქალაქებს, სოფლებს—შემკობილს და მდიდარს ხელოვნებით, ბუნებით, სარეწავით; ჰხედავს მათ და მფუფური გაბედულობით იჩემებს იმათ. პი ამისთანა მდიდარი ალაფისათვის იბძვიან ორნი მეფენი: ბიწიერება და სიმამაცე ეცილებიან ერთი-ერთმანეთს. მტბიერმა გველმაც; რომელსაც ამ ალაფის მოპოება სურდა, გადაამტერა ერთი მეორეს; მას კარგად ესმოდა, რომ მითი განხეთქილება გამარჯვებს გაუადვილებდა. დაცვა ჭემი მამაცი მამა, მეფე ზაგალი; მისი სამეფო ტახტი მეფე ჩიკომ დისაკუთრა; არაგონიამ და ძასტილიამ გაიწიეს ბრენადისაკენ. დაცვა ნახევარ მთვარე, ალაგბრის კოშკებზე აიშართა გამარჯვების ჯვარი, და მშვენებრმა ქალაქმა, წინასწარმეტყველის საყვარელმა ბავშვმა, დაიხარა ქრისტიანების წინაშე თვისი ამაყი თავი უფრო საკუთარი უძღლურებით, მინამ ურწმუნოების სიმამაკით. შუბლური მამა-ჩემი გაიქცა აფრიკაში ავარის შვილების უსირცხობაზე სატირელად. შუყალო მეფეს ფეცას ეგონა, რომ მამა-ჩემი იყო ბრენადის დაცემის მიზეზი და საკრდავს თვალეზი ამოხიჩქნა. როგორც გლახა თხოულობდა იგი ლუკმა პურს, დაიარებოდა ყველგან და დასცინოდა. სიგელი ეკილა ყელზე ამ წარწერით: „აი ბრენადის გადაყენებული მეფე“. მისი თვალეზის ბუდიდგან სისხლის ცრემლები წვეთდა, მისი დაუძღლურებული ხელები შუბლზე ამოდ ეძებდნენ გვირგვინს. თქვენ გესმით მის სიკვდილის წინ წარმოთქმული სიტყვები?—შურის ძიება იზაბელას, შურის ძიება მის ჩამომავლობას. ღა კიდევ მეკითხები თუ რისთვისა მძულს ღონა-ხუნა, ქალიშვილი იზაბელასი? არ იცით—რომ მინამ თქვენ გაგიცნობდით, გონებაში და გულში შურის ძიების მეტი არა გამოხატულა-რა, რისათვის გაგიცან თქვენ? მე მინდოდა მამკვდარიყავი სახელით და ქრისტიანები მძულელობა; მაგრამ ახლა კი უნდა მოკვდე უსირცხობ, რადგანაც ერთი მათგანი შემიყვარება!

დონ ალგარო. ალდარა!

ალგარო. დავილუბე მე. და კიდევ როგორ გინდა რომ გიმსხვერპლო თავი? რომელი დედა-კაცი და დამსახურებს მამა კაცის სიყვარულს, თუ მე ვერ შევძელ თქვენი სიყვარულის დამსახურება?

დონ ალგარო. ალდარა, თქვენი სიტყვები მაცლებენ. მე არ ვამბობ—რომ მე თქვენ არ მიყვარხართ...

ალგარო. ბანა ევაც უნდა ითქვას? ეგ ხომ ისედაც ადვილი მისახვედრია.

დონ ალგარო. მზრუნველობისათვის, რომელიც მე თქვენ გამიწიეთ, საუკუნოდ მადლობელი ვარ.

ალგარო. თქვენ კიდევ მადლობაზე მელაპარაკებით! მითხარით, განმიმარტეთ მიზეზი—რისათვის არ შემიძლიან ჩემი სიყვარულით თქვენი სიყვარული დავიმსახურო? მითხარით თუ სხვა გიყვართ.. შთუოდ იგი დიდი ხანია არ გინახავთ—რომ აგრე მოწყენილი ხართ. იქნება გეგონათ რომ ის მოკვდა, ან საუკუნოდ დაიკარგა თქვენთვის და თქვენ იგი მოულოდნელად ნახეთ. თქვენ ის ტუდელლოში შეგხვდათ. მეც მინდა მისი ნახვა. წავიდეთ წამიყვანეთ ამ საათში მასთან. მაგრამ არა... თუ ვინმე სხვა გიყვართ, ეგ მე არ გამაგებინოთ, თორემ მე შემიძლიან მისი მოკვლა.

დონ ალგარო. მოკვლა?

ალგარო. მაშ იგი არსებობს, არსებობს განა?

დონ ალგარო. მთქვამთ, რომ არსებობს...

ალგარო. მე ნუ მამბრეყვებთ!

დონ ალგარო. თქვენ რა უფლება გაქვთ ჩემზე?

ალგარო. ისა რომ მე თქვენ მიყვარხართ და განა თქვენ გაქვთ უფლება შეურაცხყოფა მამაყენოთ მე?

დონ ალგარო. თქვენ იცით ხომ: მე მძულს ცრემლები და საყვედური. იმედი მაქვს ხვალ დამშვიდებულსა გნახამ; იქნება თქვენ თვითონვე მიჰხვედთ—თუ რა უსაფუძლოა თქვენი საყვედურები. (მიდის მარცხნივ)

ს. 6—თ—ქსი.

(გაგრძელება იქნება)

სახალხო ლექსები

ფიქო იმერეთში შეკრებიდა სოსიკოსკან

ორშაბათობით გაშენდა

ცისე ქალაქი ქაზკედა;

ადამიანის ცხოვრება

ვიწავის იდგა თავსკედა.

ადგა სანმა მოასსენა:

„მე დამაწკრეთ თავსკედა.“

წვეილი სანთელი აინთო,

მიეკრა ორთა რქასკედა;

ვინც გვირე—უქმის შეასას,

რისსკა მიადგეს კარსკედა.

გხსნათ და ვთქვით—ღვთისადაც ვნახეთ,
 ზედ დაუღიოთ გამოჩინო;
 თუ ბატონმა შეგვაწუხოს,
 გამოვიხსნათ მამულით.

ბიჭო, შენი სიყვარული
 გუნებში ჩამიდვია;
 ჭორი ბუკი გავიგონე,
 მაგრამ ყურიც არ მივგდია.

ხარო, ხარი ვინ დაგარქვას?
 ხარო, სახე მშვენიერო!
 ჩვენო იმედო, ნუგეშო,
 ქედ ნაგურთხო ღონიერო!

ჩემო მტერო, ჩემო მკვლელო,
 ჩემო კანის მესობელო;
 შენ რომ ცეცხლი მამივიდე,
 ნეტა როდის მოვიხილავ?!..

აქედგანა და შენამდინ—
 გარდი მასხია ენამდინ;
 რომ ვინმე გამამიშვებდეს,
 სულ ფრენით მოვალ შენამდინ.

ღამაზმა სთქვა—საყვარელსა
 სიცილით შევეუკარბები;
 შორიდგან დაგსწავე—დავსდაგავ,
 ახლოს არ მივეუკარბები.

გოგოსთვიან მოვის პერანგი
 შეუკერნია დედას;
 აუტყუნია ტირილი,
 გული მოუკლავს სევდასა.

წავალ, წავალ არ დავდგები,
 ჩაკვდები ქალბუთიაო;
 რომელიც მამეწონება,
 გაგონებ თვალბუთიაო.

უხმოთ ვჭამე ხასვის ფონი,
 ღამაზ გოგოს მიუხიჩხი;
 ერთი წისლი მისთანა მკრა,
 ჩამიტყვია გულის ჩონჩხი.

გამსიარულდი ბუსარო,
 უშეშობას ნუ სწუსარო;

არ გამოვიღვეთ შესასა,
 ჩვენ ნუ გონივართ უსარო.
 დაიგვიზგვიზე ნაკურსლად,
 გულ-ხასვეული ნუ ხარო;
 ხან-დის-ხან ჩემ ძმას ესვეწე,
 სულ ჩემს ამარა ნუ ხარო.

წინა გამოცანების ასხსნა

- 1) მაკრატელი. 2) მამალი. 3) ბაყაყი. 4) ქალმანი. 5) ცხენი. 6) ვენახი. 7) კაკალი. 8) ცარი (მელი). 9) ნიყვი (სოკო). 10) მღვდელი.

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.

განსხალებანი

ს ტ ა მ ბ ა

მელიქი შეილისა.

თფილისში—სასახლის ქუჩ., არწრუნისეულ ქან-
 ვასლანში, ქართული თეატრის ქვემო სართულში.

იღებს ყოველ გვარს სასტუმო საჭმეებს საბე-
 ჭდავით: გაზეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთ-
 შე ყოველ-გვარ ბდანებს, კვიტანციებს, სნოტებს,
 განცხადებებს, აფიშებს, პირობებს და სსვ.

სისუფთავიკე და ღინიშნულ დროსეუ საქმის
 შესრულებასე სტამა პირობას აძლევს საქმის
 მომტანთ.

სტამა კისრულთბს კორექტურის გასწორებას
 და ბროშურების ტაკეთებას, უკეთუ წაკაზვის
 მომცემნი ისურვებენ.

დაბეჭდა და ისეიდება გ. ჩარკვიანის მაღაზიასში

რაბიზონ კრუშო


რუსულიდგან შემოკლებითი თარ. მარ. ჰაჯანა-
 შვილისა.

ფასი 10 კაპ.

იბეჭდება და ხელნა კამოვა

თ. ა. ხ. - მოქმედებიანი ისტორიული დრამა

თხზ. თ. აკ. წამართელისა



რადგანაც ეს დრამა დაიბეჭდება ორასი
ეგზემპლიარის არა უმეტეს, ამიტომ საყოველ-
თაოდ ვაცხადებთ, რომ ამ თავიდანვე ხელის-
მოწერის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს
«თეატრის» რედაქციას.

ფასი ათი მსკური

Открыта Подписка

НА 1886 ГОДЪ

На армянскую ежедневную политико-литера-
турную газету

„НОРЪ-ДАРЪ“

III-й ГОДЪ ИЗДАНИЯ

Газета 1886 году будетъ выходить по пре-
жней программѣ. Подписная цѣна съ достав-
кою и пересылкою: на годъ 10 р., на 6 мѣсяцевъ
6 р., на 3 мѣсяца 3 р. 50 к., на 1 мѣсяць
1 р. 50 коп.

Подписка принимается съ 1-го числа каждаго
мѣсяца.

Подписка и объявленія (по 2 коп. за
слово на всѣхъ языкахъ и съ переводомъ на
армянскій) принимаются исключительно въ конто-
ръ редакціи „НОРЪ-ДАРЪ“

Редакція „НОРЪ-ДАРЪ“ помѣщается за
почтою на Троицкой улицѣ, противъ Троицкой
церкви, д. № 9.

Иногородные адресуются: Тифлисъ, въ реда-
кцію „НОРЪ-ДАРЪ“.

Редакторъ-Издатель С Спандарьянъ

(3—3

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 22 февраля.


სურათები

ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა

სასანი წამართელი

ილია ჭავჭავაძე

ზრ. ორბელიანი



ერეკლე ჯ. იმია

გიორგი ერისთავი

სერაპი მასი

ჩინებულ ადექსანდროვას ქალაღზედ
მსატყობობა ა. ბერძინას

ისყიდება გრაჭუროვის წიგნის მაღაზიაში,
ქუკიის ხიდის ყურზე, ზუბალოვის სახლებში
და ა. საფანოვის ბაკალიინი მაღაზიაში, არწ-
რუნისეულ ქარვასლაში.

ვინც ათს ან მეტს სურათს გამოაწერს, მა-
შან თათო სურათი 16 კაპ. დაეთმობა.

გაისხსა ხანა. ფასტის სტანციის პირ-და-პირ

წიგნის მაღაზია წამართლისა,

რომელშიაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული
წიგნები, რუსული და ქართული სახელმძღვანელოები
და კანცელარიის ყველა საქიროებანი. Хони. Книж-
ный магазинъ Церетели.

Типографія Меликова. სტამ. მელიქიშვილისა.